



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება № 210/3 30 ივნისი 2017 წ.

საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 11.11.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.017921) 121-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 107-ე მუხლის „ლ“, „ჩ“ და „ჰ“ ქვეპუნქტების, 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებისა და „საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამდებობების პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობებად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაკავებელ თანამდებობებად და შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ თანამდებობებად გარდაქმნისა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების იერარქიულ რანგებში განაწილების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის №209/3 ბრძანების შესაბამისად და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 30 ივნისის №11219 წარდგინების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის №136/3 ბრძანება.
3. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2017 წლის 30 ივნისს და ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

